საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5042/01
03/06/2020

5042-01-2-202006031752

შპს „RMG Gold"-ს
მის: ქ. თბილისი 0160, მ. ალექსიძის ქ. 1

2020 წლის 1 მაისს სამინისტროში თქვენ მიერ წარმოდგენილ წერილთან N6719 დაკავშირებით, რომელიც ეხება ოქროსშემცველი კვარციტული გროვების გამოტუტვის ტექნოლოგიურ ციკლში დამატებით მზა ციანიდის წყალხსნარის მიმღები ინფრასტრუქტურის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას, გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია დაღვრის საწინააღმდეგო და სადრენაჟე სისტემის მოწყობის შესახებ, შესაბამისი (დეტალური) სქემატური ნახაზების მითითებით. ასევე დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული სადრენაჟო სისტემის ბასეინებთან დამაკავშირებელი სქემატური ნახაზები. ამასთან დასაზუსტებელია სარეაქციო მოედნებზე ციანიდის წყალხსნარის მიწოდების სქემა, შესაბამისი მილგაყვანილობის და სისტემის ტექნიკური აღწერილობა.

ვინაიდან ობიექტზე დაგეგმილია 18%-იანი ციანიდის წყალხსნარის მიღება, ხოლო გროვების მორწყვა ხორციელდება 0.05%-იანი ციანიდის წყალხსნარით, დაზუსტებას საჭიროებს როგორ და სად ხორციელდება აღნიშნული პროცენტული შემადგენლობის ციანიდის წყალხსნარის მიღება.

გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა. ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო აჩერებს სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე